ხელშეკრულება № 27
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფ. ზემო წინსვლა 17 ნოემბერი 2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ს [1]'' პუნქტის საფუძველზე ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლის (საიდენტიფიკაციო N 248386731) წარმოდგენილი სკოლის დირექტორის მ/შ რუსუდან ფაღავას სახით - (შემდგომში ,,შემსყიდველი''), ხოლო მეორეს მხრივ, შპს ,,კანცელარიის ცენტრი,, (საიდენტიფიკაციო N445467370) დირექტორის ემზარ მანველიძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი)'', ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი'' თანახმაა შემსყიდველს მიაწოდოს საკანცელარიო საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 197,70 (ასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი 70 თეთრი) ლარს

1.2,1. საკანცელარიო საქონელი (CPV კოდი: 44400000) ღირებულებით 2,60 ლარს

1.2,2. საკანცელარიო საქონელი (CPV კოდი: 30100000) ღირებულებით 33,10 ლარს

1.2,3. საკანცელარიო საქონელი (CPV კოდი: 24900000) ღირებულებით 2 ლარს

1.2,4. საკანცელარიო საქონელი (CPV კოდი: 37800000) ღირებულებით 160 ლარს

1.3 საქონლის ერთეულის ფასი და პარამეტრები განისაზღვრება ,, დანართი N1-ით''

2. საქონელის მიღება – ჩაბარება და მიწოდების ვადა

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

2.2. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის ხარისხისა და წუნდების მიზეზის მითითებით

2.4. საქონლის მიწოდება განხორციელდეს 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების შედეგად მიღებული საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის შემდეგ 2015 წლის ნოემბრის ბოლომდე.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას
აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს სრულყოფილად საქონელი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს მისაღები საქონლის ხარისხი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.
10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
10.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.
10.5. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სოფ. ზემო წინსვლის საჯარო სკოლის ბუღალტერი ეთერ სისოშვილი

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

16. სხვა დებულებანი

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, საიდანაც თითო ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან" და „მომწოდებელთან".

16.2 ხელშეკრულებას თან ერთვის „დანართი N1" , რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

17. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა
მის.ხელვაჩაური, სოფელ ზემო წინსვლა
საიდენტიფიკაციო კოდი 248386731
ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯიას " ბათუმის ფილიალი
ბ/კ: UGEBGE22
ა/ა №GE32VT5500000001573408
ტელ. 577 30 42 54

დირექტორის მ/შ.. ... ...

დანართი № 1

№	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ვადა	CPV კოდი
1	10367 თვითწებადი ლენტი 20M	ცალი	1	0,2	0,2	30,11,2015 წელი	44400000
2	9463 კორექტორი	ცალი	2	1,3	2,6	30,11,2015 წელი	30100000
3	9988 თვითწებადი ლენტი დიდი	ცალი	2	1,1	2,2	30,11,2015 წელი	44400000
4	9521 ცარცი	ცალი	160	1	160	30,11,2015 წელი	37800000
5	10367 თვითწებადი ლენტი 20M	ცალი	1	0,2	0,2	30,11,2015 წელი	44400000
6	10070 საწერი კალამი	ცალი	1	0,5	0,5	30,11,2015 წელი	30100000
7	10813 კალამი	ცალი	6	0,5	3	30,11,2015 წელი	30100000
8	10918 წებო თხევადი 50 გრ.	ცალი	2	0,5	1	30,11,2015 წელი	24900000
9	10122 მშრალი წებო 21 გრ	ცალი	2	0,5	1	30,11,2015 წელი	24900000
10	1020 ქაღალდი ა-4 80 გრ	ცალი	3	9	27	30,11,2015 წელი	30100000
					197.70		

ასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი 70 თეთრი

ხელმოწერა

LIMITED LIABILITY COMPANY GEORG A. 445467370
KANCELARIS CENTRI

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0206973307

2	17/11/2015	3	10:13:00
	თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)		დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს კანცელარიის ცენტრი	445467370	5	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა	248386731
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი		მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	ბათუმი, დ.აღმაშენებლის21.ა/ნ GE96PC0033600100051322. T240505
	ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)
8	X
	ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9		10	X		
	ტრანსპორტირების სახე		სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი		მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X	12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	მყიდველი - 0
					ოთხი ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

	#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი
444	1	10367 თვითწებადი ლენტი 20M	10367	ცალი	1.0000	0.2000	0.2000
301	2	10070 საწერი კალამი	10070	ცალი	1.0000	0.5000	0.5000
"	3	10813 კალამი	10813	ცალი	6.0000	0.5000	3.0000
249	4	10918 წებო თხევადი 50 გრ.	10918	ცალი	2.0000	0.5000	1.0000
"	5	10122 მშრალი წებო 21 გრ	10122	ცალი	2.0000	0.5000	1.0000
301.	6	1020 ქაღალდი ა-4 80 გრ	1020	ცალი	3.0000	9.0000	27.0000

13	32.7 - ოცდათორმეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი
	მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14		15	
	გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)		მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)
16		17	
	ხელმოწერა		ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	17/11/2015	18:03:00
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 19/11/2015 12:50:56

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0207186209

2	18/11/2015

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	10:43:46

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს კანცელარიის ცენტრი	445467370

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა	248386731

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	ბათუმი, დ.აღმაშენებლის21.ა/ნ GE96PC0033600100051322. T240505

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	მყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

	#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი*
444	1	10367 თვითწებადი ლენტი 20M	10367	ცალი	1.0000	0.2000	0.2000
301	2	9463 კორექტორი	9463	ცალი	2.0000	1.3000	2.6000
444	3	9988 თვითწებადი ლენტი დიდი	10374	ცალი	2.0000	1.1000	2.2000
378.	4	9521 ცარცი	9521	ცალი	160.0000	1.0000	160.0000

13	165 - ას სამოცდახუთი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	18/11/2015	17:54:00

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 19/11/2015, 12:51:40